

## სტალინისეული კიბერ დანაშაული

### Stalin's Cyber Crime

Natalia Patarkatsasvhili , Ani Dekanosidze  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Journalism Sophomore

**ABSTRACT.** Cyber crime as the term is invented in 21<sup>st</sup> century, but world history introduces us a lot of cyber criminals, among them the biggest is Stalin, man who made biggest crime without internet and computers in the 20<sup>th</sup> century. So, we think making parallels between two different centuries is very new and interesting. Based on the facts, we discuss Stalin's „cyber” crime's whole scheme.

**ანოტაცია:** კიბერ დანაშაული ოცდამეერთე საუკუნის მოვლენაა, თუმცა ისტორია მრავალ კიბერ დანაშაულს გვაცნობს, რომელთა შორისაც ყველაზე დიდი სტალინია, ადამიანი, რომელმაც ინტერნეტისა და კომპიუტერის გარეშე შეძლო მე-20 საუკუნის ყველაზე დიდი კიბერ დანაშაულის ჩადენა. ამდენად ვფიქრობთ, რომ ორ სხვადასხვა საუკუნეს შორის პარალელის გაკლება ძალიან საინტერესო და ინოვაციურია. ჩვენ ფაქტებზე დაყრდნობით განვიხილავთ სტალინის „კიბერ” დანაშაულის სრულ სქემას.

**საკვანძო სიტყვები:** კიბერ დანაშაული, სტალინი, კიბერ ქურდობა, ვირუსული პროგრამები, იდენტიფიკაციის ქურდობა, ინტერნეტი.

### სტალინისეული „კიბერ” დანაშაული

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად კიბერ დანაშაულად მიჩნეულია ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც კომპიუტერული სისტემის გამოყენებით არის ჩადენილი. ერთი შეხედვით ტერმინი „კიბერ დანაშაული” მხოლოდ ოცდამეერთე საუკუნის პრობლემად და „მონაპოვრად” გვევლინება, თუმცა ისტორია მრავალ კიბერ დანაშაულს გვაცნობს, რომელთაგან უდიდესი დიდი ბელადი, საბჭოთა კავშირის იმპერიის მმართველი, პიარმექანიზმის დიდი ოსტატი- იოსებ ჯუღაშვილი, სტალინი გახლდათ. კიბერ დანაშაულებათა ციკლი კომპიუტერის, ინტერნეტის და ყოველგვარი ტექნოლოგიის გარეშე, სადაც ყველა დღევანდელ ტერმინს თავისი სტალინური ანალოგი ჰქონდა- ესაა ხანა, როდესაც ადამიანთა მორალური, ფიზიკური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური გაბანკოტება და ანულირება ჩვეულებრივი სისტემური მოქმედება იყო. გაზეთები, პოსტერები, წიგნები, სიმღერები, ლექსები, პოემები- თითოეული მათგანი ინდივიდის ბრბოდ ქცევისკენ იყო

მიმართული, ჩვენ ამას მე-20 საუკუნის კიბერ ქურდობა დავარქვით- ერთი ადამიანის მიერ მისაკუთრებული 15 რესპუბლიკის მოსახლეობა, მოპარული და მითვისებული სიცოცხლეები.

სწორედ სტალინი გვევლინება ოცდამეერთე საუკუნის ტერმინის „ვირუსული პროგრამების“ ავტორად, დღეს თუ ადამიანის პირადი ინფორმაციის მოსაპოვებლად ინტერნეტი და კომპიუტერია საჭირო, სტალინი ამას პარტიის მონების საშუალებით აკეთებდა. მას არა მხოლოდ წვდომა ჰქონდა თითოეული ადამიანის პირად ცხოვრებასა თუ სიცოცხლეზე, არამედ ხშირად თავადაც ქმნიდა მათ. სუფთა ქალაქებში აწერდა ხელს ისე, რომ წარმოდგენაც არ გქონდა რას დაწერდნენ ფურცლის ზედა ნაწილში, ერთ დღეს ექიმი, შესაძლოა მეორე დღეს მოლაღატე და სამშობლოს გამყიდველი ყოფილიყავი.

მსოფლიოს უდიდესი დამნაშავე, საკუთარი თავის უკვდავსაყოფად ყველა ხერხსა და გზას იყენებდა. მე-20 საუკუნის სათვალთვალ კამერები- კაგებეს აგენტები შენს ყველა ნაბიჯს ადევნებდნენ თვალყურს. წითელი სახელმწიფოს ბელადმა იცოდა თუ რას ფიქრობდი ძილში, უფრო მეტიც, შენს ცხოვრებას, შენს აზრებსაც კი აკონტროლებდა.

კიბერ დანაშაული ყოველდღე უფრო დიდ მასშტაბებს იძენდა და ნელ-ნელა დიდ „წმენდას“ უახლოვდებოდა. ყველა ის ადამიანი, რომელთანაც სტალინი შეაღწია, გზაჯვარედინზე იდგა, მის ტვინში შენახული ყველა ინფორმაცია მის განაჩენზე მიუთითებდა, ვირუსის- ანუ ანტისაბჭოური აზრის შემთვევაში, ისე ქრებოდი როგორც პატარა ფაილი მილიონში. ამ პატარა ფაილების რაოდენობამ კი რამდენიმე მილიონს გადააჭარბა, მილიონობით ადამიანი სტალინის კიბერ დანაშაულის მსხვერპლი გახდა. გაქრობის ტალღამ მწვერვალს 1937 წელს მიაღწია. რა ხდებოდა ჯალათების რეზიდენციაში და რა საშუალებებით ტყვინდნენ „მოსიარულე ვირუსებს“? როგორ სრულდებოდა დასახვრეტა სიის შევსება და როგორ აღასრულებდნენ რამდენიმე წუთში გამოტანილ განაჩენს? ბოლშევიკური ტერორის გეგმა საკმაოდ მარტივი იყო- უნდა დასჭილიყო უმკაცრესი ფორმით ყველა, ვისაც გააჩნდა განსხვავებული აზრი, ვისი შეხედულებაც წინააღმდეგობაში მოდიოდა პარტიის იდეოლოგიასთან, განადგურებულიყო ყველა, ფარული თუ აშკარა მონინააღმდეგე დიდი იმპერიისა, რომელსაც შეეძლო სხვაც სასიკვდილოდ დაევირუსებინა. ხელისუფლების მიზანი ცხადი იყო- სრულად გაეკონტროლებინა ყველა და მოეკლა თავისუფლად მოაზროვნე ადამიანები- დღევანდელი სიტყვებით, ეს იყო მე-20 საუკუნის იდენტიფიკაციის ქურდობა. ამ მიზანს კი რეპრესიების საშუალებით- ანუ ანტივირუსებით ახორციელებდნენ. ამ მძიმე, შემზარავი და მეორეს მხრივ ნათელის მომფენი ინფორმაციის მიღების საშუალებას შს-ის არქივში დაცული მასალები გვაძლევს, 1954 წლის „თვითმხილველთა დაკითხვის ოქმები“, რომლებშიც უშუალოდ რეჟიმის მოხელეები ყვებიან, სისასტიკეზე რომელიც ციხის ბნელ საკნებში მუდმივად მძინვარებდა და უამრავი უდანაშაულოს სიცოცხლის მოსპობის მიზნით გახდა. ისინი სტალინისეული კიბერ გადაკიდების მსხვერპლნი გახდნენ, ოღონდ ინტერენტის გამოყენების გარეშე, ეფექტურად და სწრაფად. აქტებში ვკითხულობთ სიკვდილმისჯილთა სიტყვებს „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს“, რა ირონიაა და ამავე დროს რამხელა დასტური დიდი ბელადის მიზნის აღსრულებისა, შენი სიკვდილის ხელის მომწერი შენი უკანასკნელი სიტყვის

ადრესატი ხდება, ისიც ხოტბის შესხმის კონტექსტში. სწორედ აქ, ამ მონაკვეთში, კარგად ვხედავთ სტალინის როგორც სისტემურად მოქმედი დამნაშავეს, ინტერენტისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გარეშე, „კიბერ საბოტაჟის“ ავტორის მიღწეულ შედეგებს.

რეჟიმის აღზრდილი მოხელეები იძულებით თუ ნებით რეჟიმისავე მოტრფილნი იყვნენ ამას უამრავი ფაქტი ადასტურებს, ამიტომ ძნელად თუ ვნახავთ ფურცელს სადაც გამონჭრთნილ ჩინოვნიკებს ეჭვი შეეჭონდეთ რეჟიმისეულ სამართალში- სტალინმა ყველა კვალი გააქრო და მისი ფაილი სრულიად გაასუფთავა ზედ კი მისი სახელი - დიდი ბელადი რეალურად სისხლიანი, თუმცა იმპერიის მცხოვრებთათვის ოქროს ასოებით დააწერა.

როგორც წესი, ეპოქის დახასიათებისას აუცილებელი და გადამწყვეტია კონტექსტის გააზრება და შემდეგ კრიტიკა თუ ანალიზი. ჩვენ თანამედროვე მსოფლიოს მონაპოვარი - კომპიუტერული ტექნოლოგიების საშუალებით მიღწევადი ქმედება, ამ შემთხვევაში კი დანაშაული, მე-20 საუკუნეს დაუკავშირეთ. ჩვენი, და არა მხოლოდ ჩვენი, ქვეყნისთვის უმძიმეს პერიოდს- საბჭოთა კავშირს. რეალურად ყველა ის ტერმინი, რომელიც დღეს კიბერ დანაშაულს უკავშირდება, შეცვლილი სახით სტალინის პერიოდში არსებობდა, მართალია ინტერენტისა და ტექნიკის გარეშე, თუმცა ყველაფერი ახალი, ხომ კარგად დავინწყებული ძველია, ხოდა სტალინმა იდეა მოგვცა, რომლის სრულყოფა, განვითარება და ტექნოლოგიის საშუალებით განხროცილება უკვე ჩვენ, კიბერ სივრცის, ოცდამეერთე საუკუნის „მონაპოვრებმა“ შევძელით.

მნიშვნელოვანია წარსულის ცოდნა აწმყოში რეალობისა და მომავლის აღსაქმნელ-განსაჭვრეტად, შესაძლოა ეს კავშირი აფსურდად ჩანდეს, რეალურად კი იმაზე უფრო ღრმა და გრძელი ჯაჭვი არსებობს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. მე-20 საუკუნის ყველაზე დიდი „კიბერ“ დამნაშავე „ჩვენი“ დიდი ბელადია, სწორედ ერთ-ერთი უდიდესი წინაპარი და ფუძემდებელი დღევანდელი კიბერ დამნაშავეებისა თუ თავად კიბერ დანაშაულისა.

## ბიბლიოგრაფია

1. შსს-ის არქივში დაცული დოკუმენტური მასალა
2. [https://police.ge/files/proeqtebi\\_reporma%20photos/organizebuli-danashauli/kiberdanashauli-informacia-moqalaqeebistvis.pdf](https://police.ge/files/proeqtebi_reporma%20photos/organizebuli-danashauli/kiberdanashauli-informacia-moqalaqeebistvis.pdf)